



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030429353422118

№ 04-218/ო

03 / აპრილი / 2018 წ.

„საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 იანვრის N11 დადგენილებით დამტკიცებული „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის მიმდინარეობის ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 მარტის № 04-158/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 26 მარტის N04-6732 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 იანვრის N11 დადგენილებით დამტკიცებული „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის მიმდინარეობის ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 მარტის № 04-158/ო ბრძანების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“, სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჯეროვან შესრულებაზე კონტროლის მიზნით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო), შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბეჟან ლორთქიფანიძე - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ჯგუფის უფროსი;

ბ) პაატა ჩივიაშვილი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის დასაქმების პროგრამების სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;

გ) ნანული გაგნიძე - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის დასაქმების პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

დ) გიორგი გამგებელი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის დასაქმების პროგრამების

სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ე) ნიკო ლემონჯავა - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის დასაქმების პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ვ) შოთა მახარაშვილი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ზ) დავით ივანიძე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;

თ) ნინო აგაშენაშვილი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი.“

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ინსპექტორების ჯგუფის წევრებისთვის, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის („დეს“) მეშვეობით.

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი



ზაზა სოფრომაძე